ᲒᲐᲜᲐᲗᲚᲔᲑᲘᲡ ᲮᲐᲠᲘᲡᲮᲘᲡ ᲒᲐᲜᲕᲘᲗᲐᲠᲔᲑᲘᲡ ᲔᲠᲝᲕᲜᲣᲚᲘ ᲪᲔᲜᲢᲠᲘ
NATIONAL CENTER FOR EDUCATIONAL QUALITY ENHANCEMENT

# აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნა უმაღლესი საგანმანათლებლო პროგრამის შესახებ

"მედიცინის" ერთსაფეხურიანი ინგლისურენოვანი

საგანმანათლებლო პროგრამა

შპს - კავკასიის საერთაშორისო უნივერსიტეტი

შეფასების თარიღ(ებ)ი 27.04.2022

დასკვნის  წარდგენის თარიღი 15.06.2022

თბილისი

## ინფორმაცია უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების შესახებ[1]

| | |
|---|---|
| დაწესებულების სახელწოდება ორგანიზაციულ-სამართლებრივი ფორმის მითითებით | შპს - კავკასიის საერთაშორისო უნივერსიტეტი |
| დაწესებულების საიდენტიფიკაციო კოდი | 201951637 |
| დაწესებულების სახე | უნივერსიტეტი |

## ინფორმაცია საგანმანათლებლო პროგრამის შესახებ

| | |
|---|---|
| საგანმანათლებლო პროგრამის სახელწოდება | მედიცინა<br>Medicine |
| უმაღლესი განათლების საფეხური | ერთსაფეხურიანი |
| მისანიჭებელი კვალიფიკაცია[2] | დიპლომირებული მედიკოსი<br>Medical doctor / MD |
| დეტალური სფეროს დასახელება და კოდი | 0912 მედიცინა |
| ზოგადი განათლების შესაბამისი საფეხურის საგნის/საგნების/საგნობრივი ჯგუფის სწავლების უფლების მითითება<br>(მასწავლებლის მომზადების ინტეგრირებული საბაკალავრო-სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამის ან მასწავლებლის მომზადების საგანმანათლებლო პროგრამის შემთხვევაში) | - |
| სწავლების ენა | ინგლისური |
| ECTS კრედიტების რაოდენობა | 360 |
| პროგრამის სტატუსი (ავტორიზებული/აკრედიტებული/პირობით აკრედიტებული/ახალი/საერთაშორისო აკრედიტაცია) შესაბამისი გადაწყვეტილების მითითებით (ნომერი, თარიღი) | აკრედიტებული #126, 28. 09.<br><br>2018 |

## ექსპერტთა ჯგუფის წევრები

| | |
|---|---|
| თავმჯდომარე (სახელი, გვარი, უსდ/ორგანიზაცია, ქვეყანა) | ია ფანცულაია, თბილისის სახელმწიფო სამედიცინო უნივერსიტეტი, საქართველო |
| წევრი (სახელი, გვარი, უსდ/ორგანიზაცია, ქვეყანა) | ირინე ფხაკაძე, აკაკი წერეთლის სახელმწიფო უნივერსიტეტი, საქართველო |

[1] ერთობლივი უმაღლესი საგანმანათლებლო პროგრამის შემთხვევაში: მიეთითება ერთობლივი უმაღლესი საგანმანათლებლო პროგრამის განმახორციელებელი დაწესებულებები; „დაწესებულების საიდენტიფიკაციო კოდის" და „დაწესებულების სახის" მითითება არ არის სავალდებულო უცხო ქვეყნის კანონმდებლობის შესაბამისად აღიარებული უმაღლეს საგანმანათლებლო დაწესებულებ(ებ)ისათვის

[2] უცხო ქვეყნის კანონმდებლობის შესაბამისად აღიარებულ უმაღლეს საგანმანათლებლო დაწესებულებასთან ერთად ერთობლივი უმაღლესი საგანმანათლებლო პროგრამის განხორციელების შემთხვევაში თუ განსხვავდება მისანიჭებელი კვალიფიკაცის ფორმულირება, მიეთითება ცალ-ცალკე დაწესებულებების მიხედვით

## აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის შემაჯამებელი დასკვნა

- **ზოგადი ინფორმაცია საგანმანათლებლო პროგრამის შესახებ**

შპს კავკასიის საერთაშორისო უნივერსიტეტის (შემდგომში - დაწესებულება) ინგლისურენოვანი საგანმანათლებლო პროგრამა „მედიცინა" (შემდგომში - პროგრამა) აკრედიტებულია 28 სექტემბერს 2018 წელს (გადაწყვეტილება N126, 28.09.2018). შპს კავკასიის საერთაშორისო უნივერსიტეტის მიერ ცენტრში 2021 წლის 31 მარტის №00003681 და 8 აპრილის №00004016 (ცენტრში რეგისტრაციის №309787, 3 1/03/2021 და №341426, 08/04/2021) წერილებით წარმოდგენილი იქნა "მედიცინის" ერთსაფეხურიანი ინგლისურენოვანი სსიპ - განათლების ხარისხის განვითარების ეროვნულ ცენტრში (შემდ-გომში - ცენტრი) პროგრამის „ეროვნული კვალიფიკაციების ჩარჩოსთან" და „სწავლის სფეროების კლასიფიკატორთან" შესაბამისობის შესახებ თვითშეფასების ანგარიში".
სსიპ - განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის დირექტორის ბრძანების (MES 6 22 0000380105 12/04/2022) საფუძველზე პროგრამაზე განხორციელდა არაგეგმიური მონიტორინგი ზემოთ მითითებული პროგრამის „ეროვნული კვალიფიკაციების ჩარჩოსთან", „სწავლის სფეროების კლასიფიკატორთან" შესაბამისობის დადგენის მიზნით აკრედიტაციის პირველ, მეორე და მეოთხე სტანდარტებთან მიმართებაში.

- **აკრედიტაციის ვიზიტის მიმოხილვა**

სსიპ - განათლების ხარისხის განვითარების ეროვნულ ცენტრის ბრძანების (MES 6 22 0000380105 12/04/2022) საფუძველზე ექსპერტთა ჯგუფმა (თავრ-რე: ია ფანცულაია, წევრი ირინე ფხაკაძე) განახორციელა შპს კავკასიის საერთაშორისო უნივერსიტეტის „მედიცინის" ინგლისურენოვან ერთსაფეხურიან საგანმანათლებლო პროგრამაზე არაგეგმიური მონიტორინგი ადგილზე ვიზიტის გარეშე, მხოლოდ უნივერსიტეტი მიერ წარმოდგენილი დოკუმენტაციის შესწავლით. შეფასება განხორციელდა სტანდარტების იმ კომპონენტებთან (1, 2, 4) მიმართებაში, რომლებთანაც დაკავშირებით განხორციელდა გარკვეული ცვლილებები. შეფასების შედეგების საფუძველზე მომზადდა დასკვნის პროექტი, ხოლო დაწესებულების არგუმენტირებული პოზიციის გაცნობის შედეგად ცნობილი გახდა, რომ დაწესებულებას 2021 წლის შემდეგ განხორციელებული ქონდა გარკვეული ცვლილებები, რომლებიც ითვალისწინებს 2 რეკომენდაციას (1.2 და 2.2 ქვესტანდარტი). მიუხედავად ამისა, პროცესუალური ნორმების დაცვით ექსპერტთა ჯგუფმა იხელმძღვანელა უნივერსიტეტის მიერ ადრე წარმოდგენილი დოკუმენტაციით და აღნიშნული რეკომენდაციები შენარჩუნებული იქნა დასკვნაში. კერძოდ:

1.2. კომპონენტი:_რეკომენდებულია ზოგიერთ სილაბუსებში სწავლის შედეგებში „ცოდნა და გაცნობიერების" და „უნარების" კომპეტენციების ფორმულირებების დაკორექტირება.

დაწესებულების არგუმენტირებული პასუხის თანახმად აღნიშნული რეკომენდაცია უკვე გათვალისწინებულია და სილაბუსებში მოხდა სწავლის შედეგების: „ცოდნა და გაცნობიერების", „უნარების" და „პასუხისმგებლობა და ავტონომიურობის" კომპეტენციების ფორმულირების დაკორექტირება.

2.2. რეკომენდებულია დაზუსტდეს პროგრამის აღწერილობით ნაწილში არსებული ჩანაწერი, რომლის თანახმად „მედიცინა განსაზღვრულია, როგორც ჯანდაცვის სპეციალობა“ სწავლის სფეროების კლასიფიკატორთან შესაბამისობის მიზნით. დაწესებულების არგუმენტირებული პასუხისა და დანართების შეფასების შედეგად ჩანს, მედიცინის ინგლისურენოვან პროგრამაში, მათ შორის ქართულენოვან თარგმანშიც, ჩანაწერი „მედიცინა ჯანდაცვის მიმართულების ერთ–ერთი უმნიშვნელოვანესი სპეციალობაა“ ჩასწორდა ექსპერტთა რეკომენდაციის შესაბამისად და იკითხება: „მედიცინა ჯანდაცვის ვიწრო სფეროს უმნიშვნელოვანესი დეტალური სფეროა“.

რეკომენდებულია არჩევითი კურსების: უჯრედული ბიოლოგია, ბიოფიზიკა, ფსიქოლოგია, სოციოლოგია, გადატანა სავალდებულო კურსებში.

თუმცა არჩევითი კურსების სავალდებულო კურსებში გადატანასთან დაკავშირებით რეკომენდაციას, დაწესებულება არ იზიარებს ბიოფიზიკის სწავლების აუცილებლობას პროგრამის შედეგების მისაღწევად, რაც შეეხება უჯრედული ბიოლოგიისა და სოციოლოგიის სწავლებას, საკითხზე მსჯელობა გადავადებულია მომდევნო სასწავლო წლის დაწყებამდე. აღნიშნულის გათვალისწინებით მოხდა რეკომენდაციის დაკორექტირება შემდეგი სახით: რეკომენდებულია არჩევითი კურსების: უჯრედული ბიოლოგია და სოციოლოგია, გადატანა სავალდებულო კურსებში.

2.6 რეკომენდებულია საგანმანათლებლო პროგრამაში დაკორექტირდეს დიპლომის კატეგორიის შეცვლის მიზნით საგნის გადაბარების უფლების განმსაზღვრელი ჩანაწერი.
დაწესებულების არგუმენტირებული პასუხისა და დანართების შეფასების შედეგად ჩანს, რომ უნივერსიტეტის სასწავლო პროცესის მარეგულირებელი წესის მე-20 მუხლის მე-7 პუნქტით განსაზღვრულია ზემოთაღნიშნული პირობა: „დიპლომის კატეგორიის შეცვლის მიზნით დამამთავრებელი კურსის სტუდენტმა შეიძლება ისარგებლოს უკვე ჩაბარებული საგნ(ებ)ის გადაბარების უფლებით, მაგრამ არაუმეტეს 3 საგნისა, კრედიტების კვოტის (მაქსიმუმ 15 კრედიტი), გათვალისწინებით. საგნის გადაბარების მოთხოვნით სემესტრის დაწყებამდე სტუდენტი განცხადებით მიმართავს ფაკულტეტის დეკანს. დეკანის თანხმობის შემთხვევაში, გავლილი საგნის შედეგები უქმდება და სტუდენტი რეგისტრირდება მიმდინარე ჯგუფთან, საგნის ხელმეორედ გასავლელად. სტუდენტი ვალდებულია სემესტრის განმავლობაში (და არა ინტენსიურად), ხელმეორედ შეისწავლოს საგანი, შეასრულოს შუალედური აქტივობები, მიიღოს შუალედური შეფასებები, შუალედური გამოცდის ჩათვლით და ჩააბაროს დასკვნითი გამოცდა. შესაბამისად, რეკომენდაცია ექსპერტთა საბოლოო დასკვნაში დაკორექტირდა და შენარჩუნებულ იქნა შემდეგი სახით: რეკომენდებულია დიპლომის კატეგორიის შეცვლის მიზნით საგნის გადაბარების უფლების განმსაზღვრელი ჩანაწერი მოვიდეს შესაბამისობაში საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2007 წლის 5 იანვრის №3 ბრძანებასთან, რომლის თანახმად, პროგრამის სასწავლო კომპონენტების სწავლის შედეგების მიღწევის შეფასება უნდა დასრულდეს იმავე სემესტრში, რომელშიც იგი ხორციელდებოდა და გადაბარებას ექვემდებარება დამატებით გამოცდაზე უარყოფითი შეფასება (FX -41-50 ქულა) დასკვნითი გამოცდის შედეგების გამოცხადებიდან არანაკლებ 5 დღეში.

საგანმანათლებლო პროგრამის სტანდარტებთან შესაბამისობის მოკლე მიმოხილვა

სტანდარტი 1 - სრულად შესაბამისია

სტანდარტი 2 - მეტწილად შესაბამისია

სტანდარტი 4 - სრულად შესაბამისია

- **რეკომენდაციები**

1.2 რეკომენდებულია ზოგიერთ სილაბუსებში სწავლის შედეგებში „ცოდნა და გაცნობიერების“ და „უნარების“ კომპეტენციების ფორმულირებების დაკორექტირება.

2.2

რეკომენდებულია დაზუსტდეს პროგრამის აღწერილობით ნაწილში არსებული ჩანაწერი, რომლის თანახმად „მედიცინა განსაზღვრულია, როგორც ჯანდაცვის სპეციალობა“ სწავლის სფეროების კლასიფიკატორთან შესაბამისობის მიზნით.

რეკომენდებულია არჩევითი კურსების: უჯრედული ბიოლოგია და სოციოლოგია, გადატანა სავალდებულო კურსებში.

რჩევები პროგრამის განვითარებისთვის: 2.6 რეკომენდებულია დიპლომის კატეგორიის შეცვლის მიზნით საგნის გადაბარების უფლების განმსაზღვრელი ჩანაწერი მოვიდეს შესაბამისობაში საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2007 წლის 5 იანვრის №3 ბრძანებასთნ, რომლის თანახმად, პროგრამის სასწავლო კომპონენტების სწავლის შედეგების მიღწევის შეფასება უნდა დასრულდეს იმავე სემესტრში, რომელშიც იგი ხორციელდებოდა და გადაბარებას ექვემდებარება დამატებით გამოცდაზე უარყოფითი შეფასება (FX -41-50 ქულა) დასკვნითი გამოცდის შედეგების გამოცხადებიდან არანაკლებ 5 დღეში.

- სასურველია პროგრამაში შეთავაზებული ზოგადი არჩევითი სასწავლო კურსების საერთო მოცულობის (5 კრედიტი) გაზრდა,
- სასურველია III სემესტრში კურსი „კლინიკური უნარები“ - საექთნო საქმე“ ჩანაცვლდეს დარგობრივი დოკუმენტის მიხედვით აუცილებელი კომპეტენციების გამომუშავებაზე ორიენტირებული სასწავლო კურსით.
- სასურველია რომ უნივერსიტეტს ჰქონდეს ერთნაირი ფორმატი აკადემიური პერსონალის (მოწვეული და აფილირებული) ბიოგრაფიული მონაცემების წარმოსადგენად

  - საუკეთესო პრაქტიკის მოკლე მიმოხილვა (არსებობის შემთხვევაში)

  - ხელახალი აკრედიტაციისას, მნიშვნელოვანი მიღწევებისა და/ან პროგრესის მოკლე მიმოხილვა (ასეთის არსებობის შემთხვევაში)

# პროგრამის შესაბამისობა აკრედიტაციის სტანდარტებთან

## 1. საგანმანათლებლო პროგრამის მიზანი, სწავლის შედეგები და მათთან პროგრამის შესაბამისობა

პროგრამას აქვს ნათლად ჩამოყალიბებული მიზნები და სწავლის შედეგები, რომლებიც ლოგიკურადაა ერთმანეთთან დაკავშირებული. პროგრამის მიზნები შეესაბამება უნივერსიტეტის მისიას, მიზნებსა და სტრატეგიულ გეგმას. პროგრამის გაუმჯობესებისთვის მუდმივად ფასდება პროგრამის სწავლის შედეგები.

| 1.1 პროგრამის მიზნები |
|---|
| პროგრამის მიზნები ასახავს, თუ რა ცოდნის, უნარებისა და კომპეტენციების მქონე კურსდამთავრებულის მომზადებისკენ არის მიმართული და რა წვლილი შეაქვს სფეროსა და საზოგადოების განვითარებაში. |
| სტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი<br><br>დაწესებულების მიერ წარმოდგენილი თვიშეფასებაში აღნიშნულია, რომ პროგრამის მიზანს/მიზნებს არსებითი ცვლილებები არ განუცდია აკრედიტაციის შემდგომ და რჩება ისეთი ფორმით როგორც ქონდათ ჩამოყალიბებული. კერძოდ: „პროგრამის მიზანია მოამზადოს მაღალკვალიფიციური ექიმები, რომლებიც კონკურენტუნარიანნი იქნებინ როგორც ქვეყნის შიგნით, ასევე მის ფარგლებს გარეთ“. აღსანიშნავია, რომ 2018 წლის აკრედიტაციის შემდეგ პროგრამაში შეიცვალა არა მიზნები, არამედ მიზნის მისაღწევი გზები, კერძოდ მოხდა ინტეგრაციის გაღრმავება და ახალი დარგობრივი სტანდარტის მოთხოვნების გათვალისწინება, რომელიც თავის მხრივ ითვალისწინებს საკვალიფიკაციო ჩარჩოს მოთხოვნებს. ასე მაგალითად: „ბიოფიზიკა და სამედიცინო ფიზიკა, უჯრედის ბიოლოგია, სამედიცინო ქიმია სავალდებულო კურსებიდან გადავიდა არჩევით კურსებში; მესამე სემესტრში მეოთხე სემესტრიდან გადმოვიდა მოდული - სხეულის ფუნქცია (8 კრედიტი); მეხუთე სემესტრიდან მეოთხე სემესტრში გადმოვიდა ეპიდემიოლოგია და მერვე სემესტრიდან ზოგადი არჩევითი კურსების ბლოკი (5 კრედიტი). აგრეთვე მეხუთე სემესტრში არსებული სასწავლო კურსების ინტეგრაცია გაიზარდა (პათოლოგია, ფარმაკოლოგია, შესავალი შინაგან მედიცინაში) და დაიყო 2 მოდულად“ და სხვა.<br><br>წარმოდგენილ დოკუმენტაციაზე დაყრდნობით ექსპერტთა ჯგუფი მიიჩნევს, რომ პროგრამის მიზნები აკმაყოფილებს ახალი საკვალიფიკაციო ჩარჩოს მოთხოვნებს, ნათლად არის ჩამოყალიბებული სწავლის შედეგებთან ერთად, რომლებიც უზრუნველყოფს დასახული მიზნების მიღწევას. |
| მტკიცებულებები/ინდიკატორები<br><br>• პროგრამა<br>• სილაბუსები<br>• თვითშეფასება |

| |
|---|
| რეკომენდაციები:<br><br>○ წინადადება(ები), რომელიც უსდ-მ უნდა გაითვალისწინოს იმისათვის რომ პროგრამამ დააკმაყოფილოს სტანდარტის მოთხოვნები |
| რჩევები პროგრამის განვითარებისთვის<br><br>○ არასავალდებულო ხასიათის რჩევები პროგრამის განვითარებისთვის |
| საუკეთესო პრაქტიკა (არსებობის შემთხვევაში):<br><br>○ პრაქტიკა, რომელიც არის გამორჩეულად ეფექტური და რომელიც შეიძლება გახდეს სამიზნე ნიშნული ან მაგალითი სხვა საგანმანათლებლო პროგრამებისათვის |
| მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი (მოქმედი აკრედიტებული პროგრამის შემთხვევაში) |
| ○ მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი, რომელიც პროგრამაში განხორციელდა წინა აკრედიტაციის შემდეგ (ასეთის არსებობის შემთხვევაში) |
| შეფასება<br><br>o გთხოვთ, შეაფასოთ პროგრამის სტანდარტის აღნიშნულ კომპონენტთან შესაბამისობა<br>x შესაბამისობაშია მოთხოვნებთან<br><br>☐ მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან<br><br>☐ ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან<br><br>☐ არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან |

| 1.2 პროგრამის სწავლის შედეგები |
|---|
| ➢ პროგრამის სწავლის შედეგები აღწერს იმ ცოდნას, უნარებსა ან/და პასუხისმგებლობასა და ავტონომიურობას, რომლებსაც სტუდენტი იძენს პროგრამის დასრულებისას;<br>➢ პროგრამის სწავლის შედეგების შეფასების პროცესი მოიცავს სწავლის შედეგების გასაზომად საჭირო მონაცემთა განსაზღვრას, შეგროვებასა და ანალიზს; ➢ შეფასების შედეგები გამოიყენება პროგრამის გასაუმჯობესებლად. |

სტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი

თვითშეფასების მიხედვით ირკვევა, რომ პროგრამის სწავლის შედეგები საქართველოს განათლების, მეცნიერების, კულტურისა და სპორტის მინისტრის ბრძანება №69/ნ (10.04.2019) "ეროვნული კვალიფიკაციების ჩარჩოსა და სწავლის სფეროების კლასიფიკატორის დამტკიცების შესახებ" დანართი #1-ის შესაბამისად არ შეცვლილა, რადგანაც თავიდანვე შეესაბამებოდა მედიცინის დარგობრივ მახასიათებელს და გაწერილი იყო TUNING/MEDINE-ს მიერ შემუშავებული სწავლის შედეგების მიხედვით, რაც, თავის მხრივ ევროპული კვალიფიკაციების ჩარჩოს ეფუძნება.

ბრძანების შესაბამისად პროგრამაში დეტალურად არის გაწერილი სწავლის შედეგები ცოდნა და გაცნობიერების, უნარისა და პასუხისმგებლობისა და ავტონომიურობის სახით, თუმცა ცალკეულ სილაბუსებში მითითებული სწავლის შედეგები ჩამოყალიბებულია ახლანდელ დროში და ზოგიერთ შემთხვევაში კვლავ ძველი ფორმატით რჩება.

აღსანიშნავია, აგრეთვე, რომ ზოგიერთ სილაბუსში მკვეთრად გასამიჯნია სწავლის შედეგებში „ცოდნა და გაცნობიერება“ კომპეტენცია „უნარების“-გან, ასე მაგალითად: სილაბუსში „პედიატრია" „იცის პედიატრიულ პაციენტთან და მის მშობელთან კომუნიკაცია; სასიცოცხლო ნიშნების შეფასება“ არის უკვე უნარი და არა მარტო თეორიული ცოდნა.

მტკიცებულებები/ინდიკატორები

- პროგრამა
- სილაბუსები
- თვითშეფასება

რეკომენდაციები:

1.2 რეკომენდებულია ზოგიერთ სილაბუსებში სწავლის შედეგებში „ცოდნა და გაცნობიერების“ და „უნარების“ კომპეტენციების ფორმულირებების დაკორექტირება.

რჩევები პროგრამის განვითარებისთვის

არასავალდებულო ხასიათის რჩევები პროგრამის განვითარებისთვის

საუკეთესო პრაქტიკა (არსებობის შემთხვევაში):

○ პრაქტიკა, რომელიც არის გამორჩეულად ეფექტური და რომელიც შეიძლება გახდეს სამიზნე ნიშნული ან მაგალითი სხვა საგანმანათლებლო პროგრამებისათვის

მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი (მოქმედი აკრედიტებული პროგრამის შემთხვევაში)

○ მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი, რომელიც პროგრამაში განხორციელდა წინა აკრედიტაციის შემდეგ (ასეთის არსებობის შემთხვევაში) ○

| შეფასება |
| --- |
| ი გთხოვთ, შეაფასოთ პროგრამის სტანდარტის აღნიშნულ კომპონენტთან შესაბამისობა<br><br>☐ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან<br>X მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან<br>☐ ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან<br>☐ არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან |

პროგრამის სტანდარტთან შესაბამისობა

| სტანდარტი | შესაბამისობაშია მოთხოვნებთან | მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან | ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან | არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან |
| --- | --- | --- | --- | --- |
| საგანმანათლებლო პროგრამის მიზანი, სწავლის შედეგები და მათთან პროგრამის შესაბამისობა | ✓ | | | |

2. სწავლების მეთოდოლოგია და ორგანიზება, პროგრამის ათვისების შეფასების ადეკვატურობა

პროგრამაზე დაშვების წინაპირობები, პროგრამის სტრუქტურა, შინაარსი, სწავლება-სწავლის მეთოდები და სტუდენტთა შეფასება უზრუნველყოფს დასახული მიზნებისა და მოსალოდნელი სწავლის შედეგების მიღწევას.

| 2.1 პროგრამაზე დაშვების წინაპირობები |
| --- |
| უსდ-ს განსაზღვრული აქვს პირთა პროგრამაზე დაშვების შესაბამისი, გამჭვირვალე, სამართლიანი, საჯარო და ხელმისაწვდომი წინაპირობები და პროცედურები. |

| |
|---|
| სტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი<br><br>მედიცინის ინგლისურენოვან პროგრამაზე მიღების წინაპირობები გამჭვირვალეა და ხელმისაწვდომია ნებისმიერი დაინტერესებული პირისთვის; საგანმანათლებლო პროგრამა განთავსებულია კსუ-ს ვებ გვერდზე www. ciu.edu.ge;<br>„ეროვნული კვალიფიკაციების ჩარჩოსთან“ და „სწავლის სფეროების კლასიფიკატორთან“ შესაბამისობის პროცესში პროგრამის დაშვების წინაპირობების ცვლილება არ განხორციელებულა.<br>პროგრამაზე ჩარიცხვის მსურველთათვის უნივერსიტეტს შემუშავებული და ვებგვერდზე აქვს განთავსებული გზამკვლევი, რომელშიც ასახულია ინფორმაცია კსუ პროგრამების, ასევე საქართველოს შესახებ https://ciu.edu.ge/menu/slug/ucxoelistudentebisTvis?lang=ge.<br>- საგანმანათლებლო პროგრამაზე სწავლა ერთიანი ეროვნული გამოცდების გავლის გარეშე დასაშვებია საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტროს მიერ დადგენილი წესით დადგენილ ვადებში:<br>ა) უცხო ქვეყნის მოქალაქეებისათვის და მოქალაქეობის არმქონე პირებისათვის, რომლებმაც უცხო ქვეყანაში მიიღეს სრული ზოგადი ან მისი ეკვივალენტური განათლება;<br>ბ) საქართველოს მოქალაქეებისათვის, რომლებმაც უცხო ქვეყანაში მიიღეს სრული ზოგადი ან მისი ეკვივალენტური განათლება და სრული ზოგადი განათლების ბოლო 2 წელი ისწავლეს უცხო ქვეყანაში;<br>გ) უცხო ქვეყნის მოქალაქეებისათვის (გარდა ერთობლივი უმაღლესი საგანმანათლებლო პროგრამის მონაწილე სტუდენტებისა და გაცვლითი საგანმანათლებლო პროგრამის მონაწილე სტუდენტებისა), რომლებიც სწავლობენ/სწავლობდნენ და მიღებული აქვთ კრედიტები/კვალიფიკაცია უცხო |

| |
|---|
| ქვეყანაში ამ ქვეყნის კანონმდებლობის შესაბამისად აღიარებულ უმაღლეს საგანმანათლებლო დაწესებულებაში;<br>დ) საქართველოს მოქალაქეებისათვის (გარდა ერთობლივი უმაღლესი საგანმანათლებლო პროგრამის მონაწილე სტუდენტებისა და გაცვლითი საგანმანათლებლო პროგრამის მონაწილე სტუდენტებისა), რომლებიც საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტროს მიერ განსაზღვრული ვადით ცხოვრობენ/ ცხოვრობდნენ, სწავლობენ/სწავლობდნენ და მიღებული აქვთ კრედიტები/კვალიფიკაცია უცხო ქვეყანაში ამ ქვეყნის კანონმდებლობის შესაბამისად აღიარებულ უმაღლეს საგანმანათლებლო დაწესებულებაში. პროგრამაზე სწავლის აუცილებელი წინაპირობაა ინგლისური ენის B2 დონეზე ფლობა.<br>მედიცინის ინგლისურენოვან საგანმანათლებლო პროგრამაზე ჩარიცხვის უფლება აქვთ ერთიანი ეროვნული გამოცდების შედეგების საფუძველზე ჩარიცხულ საქართველოს მოქალაქეებს, დამატებით, ინგლისური ენის B2 დონეზე ფლობის დოკუმენტის წარმოდგენის, ან დონის შესაბამისი ტესტირების წარმატებით ჩაბარების შემთხვევაში.<br>მედიცინის საგანმანათლებლო პროგრამაზე მობილობის წესით ჩარიცხვა დასაშვებია წელიწადში ორჯერ, საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტროს მიერ დადგენილ ვადებში - სსიპ განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის დირექტორის აქტით დამტკიცებული სავალდებულო პროცედურებისა და უნივერსიტეტის მიერ დადგენილი წესების დაცვით. |
| მტკიცებულებები/ინდიკატორები<br>• მედიცინის ინგლისურენოვანი პროგრამა<br>• უნივერსიტეტის ვებგვერდი www.ciu.edu.ge |
| რეკომენდაციები:<br>წინადადება(ები), რომელიც უსდ-მ უნდა გაითვალისწინოს იმისათვის რომ პროგრამამ დააკმაყოფილოს სტანდარტის მოთხოვნები |
| რჩევები პროგრამის განვითარებისთვის არასავალდებულო ხასიათის რჩევები პროგრამის განვითარებისთვის |
| საუკეთესო პრაქტიკა (არსებობის შემთხვევაში):<br>○ პრაქტიკა, რომელიც არის გამორჩეულად ეფექტური და რომელიც შეიძლება გახდეს სამიზნე ნიშნული ან მაგალითი სხვა საგანმანათლებლო პროგრამებისათვის |
| მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი (მოქმედი აკრედიტებული პროგრამის შემთხვევაში)<br>○ მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი, რომელიც პროგრამაში განხორციელდა წინა აკრედიტაციის შემდეგ (ასეთის არსებობის შემთხვევაში) |

შეფასება

x შესაბამისობაშია მოთხოვნებთან

☐ მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან

☐ ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან

☐ არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან

## 2.2 საგანმანათლებლო პროგრამის სტრუქტურა და შინაარსი

პროგრამა შედგენილია უსდ-ში მოქმედი საგანმანათლებლო პროგრამების დაგეგმვის, შემუშავებისა და განვითარების მეთოდოლოგიის გამოყენებით. პროგრამის შინაარსი ითვალისწინებს პროგრამაზე დაშვების წინაპირობებსა და სწავლის შედეგებს. პროგრამის სტრუქტურა თანმიმდევრული და ლოგიკურია. შინაარსი და სტრუქტურა უზრუნველყოფს პროგრამის სწავლის შედეგების მიღწევას. მისანიჭებელი კვალიფიკაცია შესაბამისობაშია პროგრამის შინაარსთან და სწავლის შედეგებთან.

მედიცინის ინგლისურენოვანი საგანმანათლებლო პროგრამა აგებულია ECTS სისტემის საფუძველზე, პროგრამის მოცულობა შეადგენს 360 კრედიტს, პროგრამის ხანგრძლივობაა 6 აკადემიური წელი (12 სემესტრი).

მედიცინის ინგლისურენოვანი საგანმანათლებლო პროგრამა ნაწილობრივ ინტეგრირებულია, გამოხატულია დისციპლინების, თემების ირგვლივ ჰორიზონტალური და ვერტიკალური ინტეგრაცია.

მედიცინის საგანმანათლებლო პროგრამის კომპონენტები ლოგიკურადაა ურთიერთდაკავშირებული და ხელს უწყობს პროგრამით განსაზღვრული მიზნების მიღწევას, მედიცინის დარგობრივი მახასიათებლის დოკუმენტით განსაზღვრული კომპეტენციების გამომუშავებას. პროგრამით განსაზღვრულია:

○ ძირითადი სწავლის სფეროს სავალდებულო სასწავლო კურსები/მოდულები: 328კრ; ○ ძირითადი სწავლის სფეროს არჩევითი სასწავლო კურსები/მოდულები: 18კრ; ○ სამეცნიერო - კვლევითი კომპონენტი: 12 კრ; ○ თავისუფალი კომპონენტები/მოდულები (სავალდებულო/არჩევითი): 5კრ; ○ კლინიკური უნარების შემსწავლელი კურსები: 21კრ.

ინტეგრაციის ხარისხის გაზრდის მიზნით პროგრამის სტრუქტურაში განხორციელებულ ცვლილებებთან დაკავშირებით გამოიკვეთა შემდეგი:

მედიცინის უმაღლესი განათლების დარგობრივი მახასიათებელის თანახმად დარგობრივი ცოდნისა და უნარების მისაღწევად განსაზღვრულ სასწავლო კურსებს შორის რეკომენდირებული რიგი კურსები (უჯრედის ნორმალური ბიოლოგია/მოლეკულური ბიოლოგია, ბიოფიზიკა, ფსიქოლოგია, სოციოლოგია) პროგრამაში სავალდებულო კურსებიდან გადატანილია არჩევით კურსებში.

პროგრამის III სემესტრში კურსის „კლინიკური უნარები" - საექთნო საქმე" სწავლის შედეგები არ განსაზღვრავს პროგრამით დასახული კომპეტენციების მიღწევას.

მტკიცებულებები/ინდიკატორები ○ მედიცინის
ინგლისურენოვანი პროგრამა

რეკომენდაციები :

- რეკომენდებულია დაზუსტდეს პროგრამის აღწერილობით ნაწილში არსებული ჩანაწერი, რომლის თანახმად „მედიცინა განსაზღვრულია, როგორც ჯანდაცვის სპეციალობა" სწავლის სფეროების კლასიფიკატორთან შესაბამისობის მიზნით.
- რეკომენდირებულია არჩევითი კურსების: უჯრედული ბიოლოგია და სოციოლოგია, გადატანა სავალდებულო კურსებში.

| |
|---|
| რჩევები პროგრამის განვითარებისთვის<br><br>• სასურველია პროგრამაში შეთავაზებული ზოგადი არჩევითი სასწავლო კურსების<br>• საერთო მოცულობის (5 კრედიტი) გაზრდა;<br>• სასურველია III სემესტრში კურსი „კლინიკური უნარები“ - საქთნო საქმე“ ჩანაცვლდეს დარგობრივი დოკუმენტის მიხედვით აუცილებელი კომპეტენციების გამომუშავებაზე ორიენტირებული სასწავლო კურსით. |
| საუკეთესო პრაქტიკა (არსებობის შემთხვევაში):<br><br>○ პრაქტიკა, რომელიც არის გამორჩეულად ეფექტური და რომელიც შეიძლება გახდეს სამიზნე ნიშნული ან მაგალითი სხვა საგანმანათლებლო პროგრამებისათვის |
| მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი (მოქმედი აკრედიტებული პროგრამის შემთხვევაში)<br><br>○ მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი, რომელიც პროგრამაში განხორციელდა წინა აკრედიტაციის შემდეგ (ასეთის არსებობის შემთხვევაში) |
| შეფასება<br><br>☐ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან<br><br>x მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან<br><br>☐ ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან<br><br>☐ არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან |

| 2.3. სასწავლო კურსი |
|---|
| ➢ ძირითადი სფეროს თითოეული სასწავლო კურსის სწავლის შედეგები შეესაბამება პროგრამის სწავლის შედეგებს, ხოლო ყოველი სასწავლო კურსის/საგნის/მოდულის/კონცენტრაციის შინაარსი და კრედიტების რაოდენობა შეესაბამება ამ კურსის სწავლის შედეგებს;<br>➢ სილაბუსში მითითებული სასწავლო მასალა დაფუძნებულია სწავლის სფეროს აქტუალურ მიღწევებზე და უზრუნველყოფს პროგრამის სწავლის შედეგების მიღწევას. |

სტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი

პროგრამა ნაწილობრივ ინტეგრირებულია, შემადგენელი კურსების/მოდულების სილაბუსები მოიცავს შემდეგ ინფორმაციას: კურსის/მოდულის დასახელება და სტატუსი, ECTS კრედიტების რაოდენობა შესაბამისი საკონტაქტო და დამოუკიდებელი საათების მითითებით, სასწავლო კურსის ფორმატი, კურსის მიზანი, სწავლის შედეგები, სწავლა/სწავლების მეთოდები, სტუდენტის შეფასების სისტემა და კრიტერიუმები, კურსის შინაარსი, სასწავლო რესურსები, კურსის განმახორციელებელი.

პროგრამის ფარგლებში შეთავაზებული სასწავლო კომპონენტის შედეგების ერთობლიობა უზრუნველყოფს პროგრამის საერთო სწავლის შედეგების მიღწევას, პროგრამის სწავლის შედეგებთან მათი შესაბამისობის დასადგენად შემუშავებულია სწავლის შედეგების რუკა.

„ეროვნული კვალიფიკაციების ჩარჩოსთან“ და „სწავლის სფეროების კლასიფიკატორთან“ შესაბამისობის მიხედვით სასწავლო კომპონენტების სწავლის შედეგები ძირითადად, შეესაბამება ეროვნული კვალიფიკაციების ჩარჩოს, ასახულია სამი კომპეტენციის მიხედვით: „ცოდნა-გაცნობიერება“ „უნარები“ „პასუხისმგებლობა და ავტონომიურობა“, თუმცა, გარკვეული კურსების სილაბუსებში გამოვლინდა შემდეგი გარემოებები:

- სილაბუსებში მითითებული სწავლის შედეგები ჩამოყალიბებულია ახლანდელ დროში, თუმცა, რიგ შემთხვევებში არის შენარჩუნებული მომავალ დროში ფორმულირებული შედეგები და არ არის გამოყენებული აქტიური ზმნები - „საზოგადოებრივი ჯანდაცვა და საზოგადოებრივი ჯანდაცვის მენეჯმენტი“, კლინიკური უნარ-ჩვევები/კომუნიკაცია; მოდული კლინიკური მედიცინა 1;
- სწავლის შედეგებში კომპეტენცია ცოდნა და გაცნობიერება ფორმულირებულია როგორც უნარები:

პედიატრია:

- “იცის პედიატრიულ პაციენტთან და მის მშობელთან კომუნიკაცია;
- სასიცოცხლო ნიშნების შეფასება”; მოდული: გულ-სისხლძარღვთა და სასუნთქი სისტემების დაავადებები:
- “იცის პაციენტის გამოკვლევა, ვიზუალიზაციის სხვადასხვა თანამედროვე მეთოდის პრინციპების გააზრება, მიღებული შედეგების კრიტიკული შეფასება”;

კლინიკური უნარები - პაციენტის მოვლა და საექთნო საქმე

- “სტუდენტმა იცის პაციენტის გამოკითხვა, შესაბამისი სამედიცინო ინფორმაციის მიწოდება, რთული კლინიკური შემთხვევის დროს სწორი კომუნიკაცია პაციენტებთან და კოლეგებთან”.

კლინიკური უნარ-ჩვევები (კომუნიკაცია)

- “სასწავლო კურსის დამთავრების შემდეგ სტუდენტმა იცის კომუნიკაცია პაციენტებთან, ოჯახის წევრებთან, კოლეგებთან, უნარშეზღუდულ პირებთან,

| |
|---|
| - სტუდენტი შეძლებს ეფექტურ კომუნიკაციას პაციენტებთან, კოლეგებთან, მასწავლებლებთან და ნებისმიერ სხვა პირთან, რომლებიც ჩართულები არიან მთლიან სამედიცინო პროცესში".<br> სწავლის შედეგებში კომპეტენცია „პასუხისმგებლობა და ავტონომიურობა" რიგ შემთხვევებში დასაზუსტებელია, ფორმულირებულია როგორც უნარები:<br>სამეცნიერო კვლევის საფუძვლები<br>- "სტუდენტს შეუძლია შესატყვისი წყაროებიდან მონაცემთა მოპოვება, დამუშავება და მისი გამოყენების შესახებ გადაწყვეტილების მიღება. სამეცნიერო კვლევის მეთოდების სწორედ შერჩევა, ინფორმაციის გადაცემა და დაცვა სპეციალისტებისა და არასპეციალისტების გარემოში.<br>- სტუდენტს შესაძლობლობა ექნება ლიტერატურულ რესურსებზე დაყრდნობით მიღებული თეორიული მონაცემების დამოუკიდებლად გაერთიანებისა, ისე როგორც ახსნის და ანალიზის გაკეთების და შესაბამისი დასკვნის გაკეთების.<br>- სტუდენტი განივითარებს პაციენტებთან, მათი ოჯახის წევრებთან, კოლეგებთან კომუნიკაციის უნარს; სამწუხარო ამბის თქმის უნარს; შეზღუდული შესაძლებლობის პირებთან ურთიერთობის უნარს, ასევე სხვა დარგებში მომუშავე ექსპერტებთან კომუნიკაციის". |
| მტკიცებულებები/ინდიკატორები<br><br>○ სასწავლო კურსების სილაბუსები |
| რეკომენდაციები: |
| რჩევები პროგრამის განვითარებისთვის<br><br>არასავალდებულო ხასიათის რჩევები პროგრამის განვითარებისთვის |
| საუკეთესო პრაქტიკა (არსებობის შემთხვევაში):<br><br>○ პრაქტიკა, რომელიც არის გამორჩეულად ეფექტური და რომელიც შეიძლება გახდეს სამიზნე ნიშნული ან მაგალითი სხვა საგანმანათლებლო პროგრამებისათვის |
| მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი (მოქმედი აკრედიტებული პროგრამის შემთხვევაში)<br><br>○ მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი, რომელიც პროგრამაში განხორციელდა წინა აკრედიტაციის შემდეგ (ასეთის არსებობის შემთხვევაში) |

შეფასება

x შესაბამისობაშია მოთხოვნებთან
☐ მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან
☐ ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან
☐ არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან

## 2.4 პრაქტიკული, სამეცნიერო/ კვლევითი/ შემოქმედებითი/ საშემსრულებლო და ტრანსფერული უნარების განვითარება

პროგრამა უზრუნველყოფს, სწავლის შედეგების შესაბამისად, სტუდენტთა პრაქტიკული, სამეცნიერო/კვლევითი/შემოქმედებითი/საშემსრულებლო და ტრანსფერული უნარების განვითარებას და/ან მათ კვლევით პროექტებში ჩართვას.

სტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი

პროგრამაში გათვალისწინებულია პრაქტიკული კლინიკური უნარების გამომუშავების შესაძლებლობა 21 კრედიტის მოცულობით პროგრამის კლინიკური კომპონენტების ფარგლებში, აღნიშნული მნიშვნელოვანწილად უწყობს ხელს საგანმანათლებლო პროგრამით განსაზღვრული მიზნების მიღწევასა და აუცილებელი კომპეტენციების განვითარებას.

საგანმანათლებლო პროგრამაში 12 კრედიტის ფარგლებში გათვალისწინებული კომპონენტები: სამეცნიერო კვლევის საფუძვლები, სამეცნიერო კვლევის უნარები, სამეცნიერო ნაშრომის დაწერა ხელს უწყობენ კვლევის უნარების განვითარებას.

პროგრამით განსაზღვრული ცალკეული კურსები ორიენტირებულია შედეგზე და უზრუნველყოფს კურსდამთავრებულებში კვლევითი შემოქმედებითი პრაქტიკული, და ტრანსფერული უნარების განვითარებას, აღნიშნული მიმართულებით „ეროვნული კვალიფიკაციების ჩარჩოსთან“ და „სწავლის სფეროების კლასიფიკატორთან“ შესაბამისობის პროცესში ცვლილებები არ განხორციელებულა.

მტკიცებულებები/ინდიკატორები

- პროგრამა;
- სილაბუსები

რეკომენდაციები:

წინადადება(ები), რომელიც უსდ-მ უნდა გაითვალისწინოს იმისათვის რომ პროგრამამ დააკმაყოფილოს სტანდარტის მოთხოვნები

| |
|---|
| რჩევები პროგრამის განვითარებისთვის<br><br>არასავალდებულო ხასიათის რჩევები პროგრამის განვითარებისთვის |
| საუკეთესო პრაქტიკა (არსებობის შემთხვევაში):<br><br>○ პრაქტიკა, რომელიც არის გამორჩეულად ეფექტური და რომელიც შეიძლება გახდეს სამიზნე ნიშნული ან მაგალითი სხვა საგანმანათლებლო პროგრამებისათვის |
| მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი (მოქმედი აკრედიტებული პროგრამის შემთხვევაში)<br><br>○ მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი, რომელიც პროგრამაში განხორციელდა წინა აკრედიტაციის შემდეგ (ასეთის არსებობის შემთხვევაში) |
| შეფასება<br><br>x შესაბამისობაშია მოთხოვნებთან<br><br>☐ მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან<br><br>☐ ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან<br><br>☐ არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან |

| 2.5 სწავლება-სწავლის მეთოდები |
|---|
| პროგრამა ხორციელდება სტუდენტზე ორიენტირებული სწავლება-სწავლის მეთოდების გამოყენებით. სწავლება-სწავლის მეთოდები შეესაბამება სწავლების საფეხურს, კურსის შინაარსს, სწავლის შედეგებს და უზრუნველყოფს მათ მიღწევას. |

სტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი

მედიცინის საგანმანათლებლო პროგრამით გათვალისწინებულ სასწავლო კურსებში სწავლის შედეგების მისაღწევად გამოყენებულია სწავლა-სწავლების მრავალფეროვანი მეთოდები: ვერბალური ანუ ზეპირსიტყვიერი მეთოდი, დისკუსია/დებატები, ბრეინსთორმინგი, პრეზენტაცია, პრაქტიკული სწავლება, კლინიკური მუშაობა, გუნდური მუშაობა, კლინიკური სწავლება (საწოლთან სწავლებას), შემთხვევაზე დაფუძნებული სწავლება CBL, პრობლემაზე დაფუძნებული სწავლება (PBL), როლური თამაშები, პრაქტიკული უნარების დემონსტრირება, სწავლება მულაჟებზე, ლაბორატორიული აქტივობა.

